# ცნობის ფურცელი

№ 1764 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ოთხშაბათი, 27 მარტი № 1764

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

## „ცნობის-ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

**საფაბრიკო საწყობი**

**ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა**

**გ. ი. პალლიზენ**

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

**ტფილისი**, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—19)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

**კ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

**ე. გ. ფეოდოროვი**—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი 11—2 საათამდე.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**სტ. ალ. ვოინო**—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

**გ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

**გ. მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები - მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274 (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბათუმში

ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო

**სასტუმრო „ორიენტალ",**

რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. **ფასები იაფი** ყველაფერზე. ტელეფონი № 141.

(ნ 15—4) სასტუმროს პატრონი **ე. ბერძენიშვილი**

ექიმი

**ვახტანგ ლამბაშიძე**

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა **№ 24**

**ტელეფონი № 642.**

**კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა სთხოვენ მობრძანდენ საზოგადოების სხდომაზე ოთხშაბათს, 27 მარტს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) მიმდინარე საქმეები.

2) განხილვა ბ. მაევსკის მოხსენებისა „მულანის მინდვრის მორწყვის შესახებ".

**წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლის ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილის მოსაზრების განხილვა, ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის ალებ—მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.** (ნ. 10—1)

**ცინკოგრაფია**

**წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

## საზღვარ-გარედ

**ოსმალეთი.** მაკედონიის რევოლიუციონური კომიტეტი ისევ შეუდგა თავის რევოლიუციონურ მოღვაწეობას; ალბად, იმ იმედით, რომ ბოლგარია მას მხარს მისცემს, ერთმანერთს გადამტერებული სახელმწიფოები ვერ მოახერხებენ საქმეში ჩარევას აჯანყების დაწყებისთანავე და შემდეგ კი, თუ ჩაერევიან, საქმე ისე მაინც გათავდება, რომ მაკედონია, კუნძულ კრეტასავით, განთავისუფლებული დარჩება. რევოლიუციონერების ანგარიში საბუთიანობას არ არის მოკლებული, მაგრამ, როგორც სჩანს, ეხლა ეს საბუთიანობაც ვერ უშველის მაკედონიას. საქმე ის არის, რომ ავსტრ-უნგრეთი და რუსეთი მოსალოდნელ აჯანყების დროს თანხმობით მოიქცევიან და ეს კი იმას ნიშნავს, რომ სერიოზულ მოძრაობის დაწყებისთანავე ორივე სახელმწიფო ენერგიულად იმოქმედებენ.

ვენის ოფიციალური გაზეთი „ფრემდენ ბლატი" სწერს: „თუ მაკედონიაში საქმე გართულდა, პასუხის მგებელს მისალოცი არაფერი ექნება, რუსეთი და ავსტრ-უნგრეთი, რომელთაც მშვიდობიანობა და statusquo სურთ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, არ დაიხევენ არავითარ ღონისძიების წინაშე თავიანთ სურვილის აღსასრულებლად". ამიტომ „ფრემდენბლატი" ურჩევს ბოლგარიას ხელი შეუშალოს მაკედონიის რევოლიუციონურ კომიტეტის აგიტაციას. თან ოსმალეთსაც ურჩევს გაზეთი, შემოიღოს საჭირო რეფორმები ქვეყნის დასამშვიდებლად.

უფრო გასაგების ენით რომ ვსთქვათ, ოფიციალურ გაზეთის სიტყვები ნიშნავს, რომ ბოლგარია ერთ ჯარის კაცსაც ვერ დაახმარს მაკედონიის რევოლიუციონერებს. რაც შეეხება რეფორმების შემოღების რჩევას, იგი ოსმალეთის მთავრობისათვის ახალი არ არის და ამიტომ მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

✡ საინტერესო წერილია დაბეჭდილი „ახალგაზრდა ოსმალთა" ორგანო—„მეშვერეტ"-ში: „ევროპის პრესსა დიდ ადგილს უთმობს ოსმალეთის საქმეებს, მაგრამ ბოლო დრომდე „ახალგაზრდა ოსმალთა" დასს თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ აწერდნენ. და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ევროპაში სჯეროდათ ამ დასის მტრებისა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ახალგაზრდა ოსმალნი უპრინციპო ფულის მოყვარე ხალხია; და თუ სულთანის წინააღმდეგ მოქმედებენ, ეს იმიტომ, რომ შეაშინონ იგი და შემდეგ კარგი შემოსავლიანი ადგილი მიიღონ. მართალია ამ დასშიაც, როგორც სხვაგან, არიან ჯაშუშები, ანგარების მოყვარე პირები, მაგრამ ეს სრულებით ხელს არ უშლის საქმეთა მსვლელობას და მიზნის მიღწევას.

ახალგაზრდა ოსმალელთა უკანასკნელ კონგრესის შემდეგ ევროპის პრესსამაც, განსაკუთრებით საფრანგეთში, სხვა ნაირად დაუწყო ცქერა ამ დასს. ისეთ პატივცემულ მოღვაწესთან, როგორიც ისმაილ-ქიამილ-ბეი არის, და დასის ორგანოების წარმომადგენლებთან, ეხლა დამოკიდებულება აქვთ ცნობილ პუბლიცისტებს და თვით ვალდეკ-რუსსოს სამინისტროსაც და ყოველ-გვარ ზნეობრივ დახმარებას უწევენ მათ. საფრანგეთის პრესსამ შესაფერი ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა ოსმალელთა მოღვაწეობას. მაგ. ცნობილმა პუბლიცისტმა ფრ. პრესანსემ რამდენიმე წერილი უძღვნა ამ საკითხს. ჩვენს პროგრამაში არ შედის პოლემიკა უცხოელ ჟურნალისტებთან, რომელნიც სცდილობენ ჩვენს უკეთეს გზაზე დაყენებას, მაგრამ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ხსენებულ მწერლის ზოგიერთ აზრს. ახალგაზდა ოსმალთა და სომეხ მოღვაწეთა შორის არავითარი განხეთქილება არ მომხდარა; ორივე მხარე ერთის შეხედულებისაა უცხოელ სახელმწიფოების გარეგან ზედ-მოქმედების შესახებ ოსმალეთის მთავრობაზე, როგორც ეს კონგრესზე გამოირკვა. მხოლოდ უმცირესობა იყო წინააღმდეგი, რადგანაც ოსმალეთი მეტად ცუდის თვალით უცქერის უცხოელების საქმეში ჩარევას, გულში აღშფოთებულია ამ ჩარევით და თუ შემთხვევა იშოვა, მეტის სისტიკით ამჟღავნებს ამ აღშფოთებას. ამგვარ უკმაყოფილების გამოხატვის საუკეთესო მაგალითი ოსმალეთის სომხების გაჟლეტაა. ოსმალეთის ერი მეტად მორწმუნე, ღვთის მოყვარე და სულ-გრძელი ხალხია, რომ განსაკუთრებულ მიზეზების უქონლად გაჟლიტოს რამდენიმე ასი-ათასი უიარაღო ხალხი. თუ ეს მან ჩაიდინა, ამის მიზეზი მარტო მტარვალის ბრძანება როდი ყოფილა, მას უთხრეს, რომ ევროპას განზრახვა აქვს დაიპყროს კონსტანტინეპოლი და ოსმალეთის სხვა მხარეები სომხების საქმის მოსაწესრიგებლად. აი რამ გაამხეცა ოსმალელი და სომხობა გააჟლეტინა. ან რომელი ხალხია, რომ უცხოელის თავის საქმეში ჩარევას ითმენს და იტანს. მაგალითებისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო. განა ფრანგები გულ-ხელ დაკრეფილი ელოდნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე უცხოელების შემოსვლას? არა, მათ დაიწყეს შინაური განხეთქილება და ისე ძლიერად ეცნენ მტერს, რომ თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს.

ჩვენ, ახალგაზრდა ოსმალებს, ისა გვსურს სომხებისათვის, მაკედონელ-ბოლგარებისათვის სხვა დაპყრობილ ხალხებისათვის, რაც თვითონ ჩვენის თავისათვის გვსურს. ყველა ისინი ჩვენი ძმები არიან, რადგან ხუთი საუკუნე ჩვენი ბედი მათ ბედთან იყო დაკავშირებული. მაგრამ აქედან ის-კი არ გამოდის, რომ უცხოელები საქმეში ჩავირიოთ და ოსმალეთის დაღუპვას ხელი შევუწყოთ. ჩვენ თვალ-წინ ქრისტიან მისიონერებმა ევროპა ჩინეთის საქმეში გარიეს და რა გამოვიდა? უზარ-მაზარ ჩინეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ევროპამ ხელში იგდო იჯარის სახით. ოსმალეთში კი იჯარაზე ხმასაც არ ამოიღებენ; მას პირდაპირ გაინაწილებენ და ბოლოც მოეღება სომხების, მაკედონელების, ალბანელების, სირიელების, არაბების, ქურთების და სხვების მისწრაფებასა და იდეალს."

ყველასათვის საყურადღებოა ოსმალთა ამ პოლიტიკურ დასის ასეთი მომწიფება.

**სამხრეთ-აფრიკა.** გაზეთებს ზოგს დიდი იმედი აქვს ომიანობის გათავებისა და ზოგიც ეჭვის თვალით უყურებს ახლად გამართულ მოლაპარაკებას. ზოგი იმას ამბობს, რომ პირველად ბურებმა გამოაცხადეს სურვილი მოლაპარაკების გამართვისა, ზოგიც ამტკიცებს, რომ ინგლისელები შეიქმნენ იძულებული დაეწყოთ მოლაპარაკებათ. „დეილი ტელეგრაფ"-ს თუ დავუჯერებთ, ვითომ დიდი უთანხმოება უნდა იყოს ბურების მეთაურებ შორის. „ჩვენ მოგვივიდა ცნობებიო, სწერს გაზეთი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ბურების წარმომადგენელთ შორის ევროპაში უთანხმოება არსებობს. ერთის მხრივ კრიუგერი და ლეიდსი უკმაყოფილნი არიან, რომ შალკ-ბურგერმა მოლაპარაკება დაიწყო ინგლისელებთან; მეორეს მხრივ ფიშერს, ვესელსს და ვოლმარანსს ჰსურთ, რაც შეიძლება მალე მოუღონ ბოლო ომიანობას, რასაკვირველია, ისეთის პირობებით, რომელნიც ბურებისათვის სამარცხვინო არ იქნება.

გაზეთ „ტან"-ის კორესპონდენტს შემდეგი საუბარი ჰქონია ვესელსთან, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ამერიკიდან.

— მე, უთქვამს ვესელსს, დიდ მნიშვნელობას ვაწერ ეხლახან გამართულ მოლაპარაკებას. მე ვიმედოვნებ, რომ ვუახლოვდებით ზავს; მართალია, ეს ზავი იდეალური არ იქნება, მაგრამ დამაკმაყოფილებელი კი. რასაკვირველია, ჩვენი დამოუკიდებლობა ხელ-შეუხებელი უნდა დარჩეს.

— სიტყვა „დამოუკიდებლობას" აქ შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, შეუნიშნავს კორესპონდენტს.

— ჯერ-ჯერობით უფრო ცხადათ ვერ გამოვთქვამ ჩემ აზრს. მე არ შემიძლიან მოწინააღმდეგეს ყველა ჩემი აზრები შევატყობინო.

— ინგლისმა რომ აგიკრძალოთ ჯარის ყოლა?

— ეს ჩვენთვის სულ ერთია. ჯარი ჩვენ არ გვჭირია...

— იმიტომ, ალბად, რომ, თქვენის აზრით, ბურებს იარაღს დაუტოვებენ. მაგრამ ინგლისმა რომ იარაღის ჩამორთმევა მოითხოვოს?

— ეგ შეუძლებელია, სამხრეთ-აფრიკაში უიარაღოდ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია, ბური შეიარაღებული უნდა იქნეს. სამხრეთ-აფრიკაში ჩვენ ისეთი პირები გვყავს, რომელნიც შესძლებენ ჩვენის ინტერესების დაცვას; ესენი არიან— შალკ-ბურგერი, რეიტცი, შტეინი. რასაც ესენი იქ გადაწყვეტენ, კარგი გადაწყვეტილება იქნება. მართალია ჩვენ, ევროპაში მყოფთ, ხომ არ შეგვიძლიან უფრო მეტი სიკერპე გამოვიჩინოთ იმათზე, ვინც ომის ველზე იმყოფება!

— მაგრამ პრეზიდენტი კრიუგერი?

— ისიც თანახმა გახდება.

გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ პარიზში თავი მოიყარა ინგლისის რამდენიმე პოლიტიკურმა მოღვაწემ. პარიზში არიან ეხლა ლორდ როზბერი, კემპბელ-ბანერმანი და სხვა ლიბერალები. ჩამოვიდა დევონშირის ჰერცოგიც. ამავე დროს ჰოლანდიიდან მოვიდა ტრანსვაალის ელჩი ლეიდსიც. ამერიკიდან ჩამოსული ბურების დელეგატებიც პარიზში არიან. როგორც იწმუნებიან, ბურები და ინგლისელები უნდა შეხვდნენ ერთმანერთს და თათბირი გამართონ სამხრეთ-აფრიკის საქმეების გამო.

## ახალი ამბავი

◆ მიწებზე ახალის წესით შემოღებულ გარდასახადის გაწერის დროს ბევრი მემამულის ადგილები ერთი ორად ან მეტად იანგარიშეს და ისე გააწერეს გარდასახადი. ამის გამო ბევრი საჩივარი მიუვიდა მემამულეთაგან სახაზინო პალატას, სთხოვდნენ გაწერილის ხარჯების მიწის რაოდენობის თანახმად ანგარიშსა.

სახაზინო პალატა ამის შესახებ საფინანსო დეპარტამენტს დაჰკითხებია ამ წლის იანვრის თვეში, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა მიწები მემამულისა ნამდვილზე მეტადაა ნაანგარიშევი და გარდასახადიც მეტია შეწერილიო.

ამ დღეებში ამაზე **საყურადღებო პასუხი** მოსვლია პალატას პეტერბურგიდან. დეპარტამენტი ასე განუმარტებს ამ საგანს: 1900 წლის 12 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულის კანონით, თუნდაც რომ ზედ-მეტი იყოს მიწების რაოდენობა გამოცხადებული და ერთი ორადაც გაწერილი იყოს ამ მიწებზე გარდასახადი, ასეთი შეცდომილება მხოლოდ იმ წელიწადში შესწორდება, რომელიც მოსდევს იმ წელიწადს, როცა თვით შეცდომილება აღმოაჩინეს.

◆ ამ დღეებში დიდი უთანხმოება მოსვლიათ მცხეთელ გლეხებს სოფ. წეროვანის მცხოვრებ გლეხებთან. მიზეზი ყოფილა დიდი ხნის **სადავო მამული.** აქამდის ეს საქმე განსაზღვრული არ იყო ამ ორ საზოგადოების გლეხთა შორის. იმათ საჩივარზე სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელმა ის პასუხი მისცა, რომ მომჩივანნი დაკმაყოფილებულნი იქნებიან, როდესაც სახელმწიფო გლეხთა საქმეს გაარჩევენ და მათ ყოფა-ცხოვრებას მოაწყობენ. დღემდის ეს ადგილები კიდევ სადავო იყო და ყოველთვის უთანხმოება გამოდიოდა. როგორც გვაცნობებენ, ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მინდობილობით წასულან მცხეთაში ამ ატეხილი დავის გასარჩევად მმართველის თანაშემწე ტრიპოლსკი და ტყის რევიზორი კუზმინი, რომელთაც დავალებული აქვთ დაწვრილებით გამოიძიონ საქმე.

◆ დღეს, 27 მარტს, ტფილისში იწყება ამიერ-კავკასიის **სახელმწიფო ქონებათა მმართველობის კრება** კავკასიაში მინისტრის რწმუნებულის ბ. მედვედიევის თავმჯდომარეობით. კრებამ უნდა განიხილოს თევზის მრეწველობის და სამრეწველო სახაზინო ადგილების საქმე და აგრეთვე სახაზინო ტყეების ექსპლოატაციის მოწყობის შესახები საკითხი.

◆ კვირას, 24 მარტს, მოხდა **კერძო კრება** მესამე საარჩევნო ნაწილის (კუკიისა) ამომრჩევლების. კრებას ბევრი დაესწრო. თავდაპირველად აღნიშნულ იქმნა, რომ ახლანდელი საბჭო არ აკმაყოფილებს ქალაქს, ჯეროვანად არ ემსახურება ქალაქის უმრავლესობის ინტერესებს. შემდეგ აღიძრა საკითხი, რა პრინციპი დაედვას საფუძვლად არჩევნებს. ა. ს. ბაბოვმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება ეროვნებისა და სარწმუნოების მიხედვით იქმნას მოხდენილი არჩევნები, რომ პროპორციონალურად იქმნან არჩეულნი ყველა ერებიდან. უმეტესობა ამის წინააღმდეგი გახდა და ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში ეროვნება არაფერს შუაშია და უმჯობესია ღირსეული კაცები ავირჩიოთ ეროვნების განურჩევლადაო. ბოლოს კრება ამ აზრს მიემხრო და აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა მესამე საარჩევნო ნაწილის კანდიდატთა სიის შედგენა. როდესაც კომისია ამ სიას შეადგენს, კვლავ იქნება მოწვეული კერძო კრება.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სესხად მისცა ტფილისის გუბერნიის **სასოფლო-სამეურნეო თანხიდან** ვაშლოვანისა და დიდთონეთის სასოფლო საზოგადოებათ—პირველს 935 მან., მეორეს 2500 მანეთი სათეს ხორბლის შესაძენად. სესხი საზოგადოებებმა უნდა გადაიხადონ ხუთის წლის განმავლობაში უპროცენტოთ.

◆ ივანე როსტომაშვილის **სამეურნეო სასწავლებლისათვის** საჭირო ადგილი ათი დესეტინა დაუთმია ვერაზე ტფილისის მემამულეს ვასილ ილარიონის ძეს გაბაშვილს. როგორც გადმოგვცეს, სწავლა დაიწყება 2-ს აპრილს. მასწავლებლებად მოწვეულნი არიან მსწავლული მებაღე მიხეილ ადამაშვილი (ყირიმის ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში ნასწავლი) და მსწავლული მეფუტკრე პავლე სალუხოვი (მუშტაიდის სახაზინო საფუტკრის გამგე).

◆ ხშირად მომხდარა, რომ რკინის გზის ლიანდაგზედ თვალ-ყურის მდევნელ მოსამსახურეს დიდი უბედურება აუცდენია მატარებლისათვის. დღე—ღამე, წვიმა—ქარში თუ თოვლ-ყინვაში ლიანდაგის მეთვალყურე ერთგულია თავის სამსახურისა და სულ იმის ფიქრშია, ლიანდაგს არა დაემართოს რა სახიფათო და მატარებელი არ იმსხვერპლოსო. მერე რა ჯილდო ეძლევა მოსამსახურეს ამ სამსახურისათვის? მცირეოდენ ჯამაგირის გარდა რკინის გზის სამმართველო ხანდახან ამისთანა ერთგული სამსახურისათვის საჩუქარსაც გამოიღებდა ხოლმე, მაგრამ ეს საჩუქარი იშვიათ შემთხვევაში აღემატებოდა 3 მანეთს.

სულ სხვა ნაირად უყურებს ასეთს ერთგულებას მოსამსახურისას **ახალი უფროსი ამიერ-კავკასიის რკინის გზებისა** ბ-ნი ივანოვსკი. ამ დღეებში ბ-ნმა ივანოვსკიმ ცირკულიარით აცნობა ყველა მოსამსახურეთ, რომ თებერვლის 15 რიცხვს, შუა ღამეს, ყარსის რკინის გზაზედ თუ უბედურება არ შეემთხვა ხალხის მატარებელს, ლიანდაგის მეთვალყურეთ—ვანო კახიანცისა და გიორგი მატინიანცის მადლობელი უნდა ვიყოთო.

თურმე ამ ღამეს ამ ორ მეთვალყურეთ რაღაც გრიალის ხმა სმენიათ; იმ წამსვე გარედ გამოვარდნილან და დაუნახავთ, იქვე „ბუდკასთან“ ლიანდაგზედ ვეებერთელა ქვა ჩამოვარდნილიყო. მალე საფოსტო— სახალხო მატარებელს უნდა ჩამოევლო. კახიანცს ხელში ფანარი და პეტარდები (სასროლი მასალაა, რომელსაც ლიანდაგზედ დაუდებენ და მატარებელი რომ გადაივლის —იფეთქავს დიდის ხმით) აუღია და გაქცეული იმ მხარეს, საიდანაც მატარებელს მოელოდა. ნახევარი ვერსტი გაურბენია და მერე ლიანდაგზე პეტარდები დაულაგებია; მატინიანცი კი გაქცეულა ახლო ყაზარმისაკენ და უცნობებია ეს ამბავი მუშების გამგისათვის. ამ გვარად მატარებელი ადრევე გააფრთხილეს უბედურების მოლოდინით და გზაში შეაჩერეს, სანამ ლიანდაგიდან ქვა არ აიღეს.

ბ-ნი ივანოვსკი ცირკულიარით მადლობას უცხადებს ზემო აღნიშნულ მოსამსახურეთ იმათის ერთგული სამსახურისათვის და საჩუქრად თითოს ოცდა ხუთი მანეთი მისცა.

◆ ტფილისის საპატიო მოქალაქეს **ა. ი. მანთაშევს შეუწირავს** მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენის სასარგებლოდ 3000 მან. ამავე საგნისათვის შეუწირავს ბაქოს ნავთის მწარმოებელს ტაგიევს 1000 მან.

◆ ტფილისის გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისში **ახლად განზრახულის სამკურნალოს** წესდების პროექტი. ამ სამკურნალოს გახსნა ჰსურთ თავიანთ ხარჯზე ექიმთ ნ. ნ. როსტომბეკოვს, ა. მ. როტინიანცს და პ. ი. ჩერეპაევს და პროვიზორს კ. ენიკოლოფოვს.

◆ კავკასიის საბეითალო სამმართველომ ქალაქ ჩიტადან მიიღო 40,000 მილება წამალი საქონლის ჭირის ასაცრელ სითხისა, რომელთაგან 20,000 მილება წამალი ყაზახის მაზრაში გაგზავნეს და მეორე 20,000 —ბორჩალოს მაზრაში. საბეითალო სამმართველომ ამასთანავე დაავალა ბეითლებს, რაც შეიძლება, ბევრს საქონელს აუცრან, რომ ამ გვარად საქონელს ჭირი ააცილონ.

◆ 25 მარტს **კავკასიის მთავარმართებელმა თავადმა გოლიცინმა** დაათვალიერა მთაწმინდის მამა დავითის ეკკლესია, სადაც წირვა მოისმინა და 25 მანეთი შესწირა. შემდეგ თავადმა გრიბოედოვის საფლავი დაათვალიერა და ბილიკით ფეხით მთაზე ავიდა, სადაც გაშინჯა ფუნიკულერის უკანასკნელი სადგურის შენობა, რომელზედაც ეხლა მუშაობენ, და აგრეთვე ახლად ჩაყრილი ხეები. ამის შემდეგ მთავარმართებელი ეკიპაჟით ოქროს ყანაზე და კოჯრის გზით სახლში დაბრუნდა.

◆ ტფილისის პოლიციმეისტრის განკარგულებით, ქალაქის პოლიციის ყველა ნაწილებში განგებ დანიშნულმა მოხელეებმა **რევიზია მოახდინეს,** განსაკუთრებით ფულის ანგარიშისა.

◆ ზუგდიდიდან გვწერენ, რომ 19 მარტს, დილით, სოფ. სეცერაში (ზუგდ. მ.) სამაზრო პოლიციამ მოიმწყვდია და **მოჰკლა** ცნობილი **ყაჩაღი** ქიტუ ხუბულავა, რომელიც 4 წელიწადია გადავარდნილი იყო.

◆ ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ჯანდიერმა შეატყობინა ტფილისის გუბერნიის საექიმო მმართველობას, რომ სოფელ პრიუტში გაჩენილა რაღაც **ყელის ტკივილი;** ამის გამო საექიმო მმართველობამ წინადადება მისცა ტფილისის სამაზრო ექიმს კლიაჩინს წავიდეს ზემოხსენებულ სოფელში საექიმო დახმარების აღმოსაჩენად და აგრეთვე ავადმყოფობის გამოსაკვლევად.

◆ გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში გაჩენილა **წითელა** და ძალიან ბევრი გამხდარა ავად.

◆ „ნოვოსტი“-ს სიტყვით, ცნობილი კაპიტალისტი ს. ი. მამონტოვი, რომელიც ამას წინად კოტრად იქმნა ცნობილი და დიდის ამბით გასამართლებული, კვლავ უბრუნდება სამრეწველო მოღვაწეობას და აპირებს მოითხოვოს კონცესია კავკასიაში **ახალის რკინის გზების** გასაყვანად.

◆ ბავშვთა სამზრუნველო ტფ. საზოგადოებამ მიჰმართა ამ დღეებში თხოვნით ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუთმოს ავლაბარში თავისუფალი ადგილი, სადაც შეიძლებოდეს **ბავშვთა სათამაშო და გასართობ მოედნის** გამართვა. სამზრუნველო აგრეთვე სთხოვს გამგეობას ფულით შემწეობაც აღმოუჩინოს ხსენებულ მოედნის მოწყობის საქმეში.

◆ გორის მაზრის სოფელ ზღუდერიდან შემდეგს გვატყობინებენ: ეს რამდენიმე ხანია ზღუდერის მცხოვრებლებს სიმონ (იგივე ქუცნა) და დავით ალიბეგიშვილებს **დავა ჰქონიათ** მამულის გამო. ადგილი ნაყიდი ჰქონია დავით ალიბეგიშვილს და მისი მეზობელი სიმონი სთხოვდა ნაწილი მიეცა იმ ადგილიდან მისთვის; დავითი კი უარს ეუბნებოდა, რადგან ადგილი საკუთრად მას შეეძინა. 22 მარტს ხელ-ახლავ მოსვლიათ უკმაყოფილება; სიმონს მუქარით უთქვამს: აბა მე მოვალ იმ ადგილზე და შენ დამიხვდი წინო. ნაშუადღევს დავით ალიბეგიშვილი ყოფილა თავის მამულში; სიმონიც საწინააღმდეგოდ მისულა თავის მონათესავესთან. დავითს ეს რომ შეუნიშნავს, მიუძახებია: „სიმონ, დამეხსენ, ჩემს მამულში ბოროტებას ნუ შემამთხვევო“. სიმონი მაინც არ მოშვებია და გაუწევია საწინააღმდეგოდ. დავითს უძვრია რევოლვერი და რო[illegible] უნახავს, რომ იგი მაინც უკან არ [illegible] და თავისას სჩადიოდა, ორჯერ უს[illegible]ევოლვერი და დაუჭრია სიმონი ბეჭსა და თავში. ჭრილობა ისე სამძიმო ყოფილა, რომ სიმონ ალიბეგიშვილი მეორე დღესვე გარდაცვლილა.

◆ გუშინ, 26 მარტს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის გლეხის პეპო შეყლაშვილისა, რომელსაც 1901 წელს, ს. დურევში, **ორი კაცის მოკვლა ბრალდებოდა**—სტეფანაძისა და მჟავანაძისა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს გაუნხილავს ეს საქმე დ. საჩხერეში, დამნაშავედ უცვნია შეყლაშვილი და გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 6 წლის ვადით კატორგაში გაგზავნა. შეყლაშვილს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინ განიხილა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო შეყლაშვილი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა რაგოლერმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა ახლად გადასწორებული და შევსებული პროექტი **ელექტრონის ტრამვაისა.**

◆ დაზარალებულ შემახელთა ოც-და-რვა სახლობამ სომხებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს, **ადგილი დაუთმონ საცხოვრებლად** დიდუბეში, სადაც გამოფენა იყო, ან რკინის გზის ახლო. რადგანაც სახლების ასაშენებლად ადგილი ამ წინაზე თათრებმაც ითხოვეს, სომხები თხოულობენ, რომ იმათ ცალკე მიეცეთ, რადგანაც თათრებთან ერთად ცხოვრება არა სურთ.

## რუსეთის ქრონიკა

∝ 21 მარტს დაიხურა შინა-მრეწველობის მოღვაწეთა კრება, რომელმაც სხვა-დასხვა საყურადღებო დადგენილება მოახდინა. აი ზოგიერთი მათგანი: კრება საჭიროდ სთვლის, რომ შინა-მრეწველობის ტეხნიურ, ეკონომიურ და ხელოვნურ განვითარებისათვის მალე იქმნას შემოღებული რუსეთში საყოველთაო პირველ-დაწყებითი სწავლება; სასურველია დაარსდეს იაფ-ფასიანი პერიოდული გამოცემა, რომელიც ყოველგვარ საჭირო ცნობას მიაწვდიდეს შინა-მრეწველთ და ხელოსანთ; სასურველია გაადვილებულ იქმნას ისეთ სახალხო კითხვათა გამართვა, რომელნიც შინა-მრეწველობას შეეხებიან; საჭიროა გამრავლდეს სახელოსნო და სატეხნიკო სკოლები და მათი პროგრამა შეუთანხმდეს რუსეთის შინა-მრეწველობის მოთხოვნილებათ; საჭიროა გაძლიერდეს ქალთა სატეხნიკო განათლების საქმე; სასურველია სხვა-და-სხვა სახელმძღვანელოები ამა თუ იმ სამრეწველო დარგის შესახებ, რუსულს გარდა, ყველა ადგილობრივ ენებზედაც იბეჭდებოდეს არა რუსთა შორის გასავრცელებლადაც. დანარჩენი დადგენილებანი შეეხებიან სახალხო ბანკების, საზოგადო სასწავლებლების დაარსებასა და ადგილობრივ თვით-მმართველობათა დახმარებას.

კრების დასასრულ მიწად-მოქმედების მინისტრმა ბ. ერმოლოვმა სთქვა, რომ იგი სრულიად თანაუგრძნობს კრების უმეტეს დადგენილებათ.

∝ „ნოვ. ვრ.“ იტყობინება, რომ მთავრობამ გადასწყვიტა შეადგინოს სრულიად ახალი კანონმდებლობა თეატრისა და სხვა გასართობების შესახებ. ამისათვის, შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, შესდგა განსაკუთრებული კომისია იმ დაწესებულებათა უფროს წარმომადგენელთაგან, რომელნიც დღეს განაგებენ თეატრისა და სხვა-და-სხვა გასართობის საქმეებს. ამ კომისის გარდა არსდება მეორე—მოსამზადებელი კომისია, დიდის მთავრის სერგი მიხეილის ძის თავმჯდომარეობით, რათა შეაგროვოს და შეიმუშაოს ყველა ამ საქმისათვის საჭირო მასალა, შეადგინოს პროექტი და წარუდგინოს იგი განსახილველად უმთავრეს კომისიას. ოფიციალურ პირების გარდა, კომისიებში სამუშაოდ მიიწვევენ აგრეთვე თეატრის მოღვაწეებსაც.

### სამეურნეო ბანკის წევრთა მორიგი კრება

როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველთ, კვირას, 24 მარტს, დილასა და საღამოს, სამეურნეო ბანკის სადგომში, თავ. ბ. ო. ჩოლაყაშვილის თავჯდომარეობით მოხდა საზოგადო მორიგი კრება ხსენებულ ბანკის წევრებისა.

თავდაპირველად კრებას მოხსენდა ბანკის მოქმედების ანგარიში 1901 წლის განმავლობაში. ცნობები ამ ანგარიშიდან ჩვენ უკვე დავბეჭდეთ კვირის №ში და აქ აღარ გავიმეორებთ. ანგარიშთან ერთად კრებას მოახსენეს სარევიზიო კომისიის მოხსენება. ეს მოხსენება შეიცავდა რამდენსამე მუხლს, რომელთაგან უფრო საყურადღებო იყო და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია 1-მა მუხლმა; სახელდობრ, კომისიამ აღნიშნა შემდეგი

გარემოება: წესდების ძალით (§ 12), როდესაც წევრი განაცხადებს, რომ გამოდის ბანკიდან, მას 6 თვისა და 10 დღის შემდეგ უნდა დაებრუნოს საწევრო ფული; ბანკის გამგეობა კი, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ წევრმა არ მოითხოვა თავისი საწევრო გადასახადი, სტოვებს მას ძირითად თანხაში; კომისიის აზრით-კი, ეს ფული უნდა გამოირიცხოს ძირითად თანხიდან და ჩაიწეროს, როგორც მოუთხოვნელი თანხა. გამგეობის წევრები წინააღმდეგნი იყვნენ ამ აზრისა იმ მოსაზრების ძალით, რომ წესდებაში ნათქვამია: საწევრო ფული უბრუნდება მიმავალ წევრს 6 თვისა და 10 დღის შემდეგ, **თუ მანზედ არ ირიცხება ვალი და თუ მოსალოდნელი არ არის ზარალი;** ხოლო ზარალის რაოდენობის გამოანგარიშება და აღრიცხვა შეიძლება მხოლოდ ანგარიშის შესრულების შემდეგ; ასე რომ შეუძლებელია წევრს დაუბრუნდეს ფული მაშინვე, როცა კი ვადა დასრულდება, რადგანაც მაშინ ზარალის შესახებ გამგეობამ არაფერი იცის გადაჭრით. კრებამ არ შეიწყნარა ეს მოსაზრება და დაადგინა შემდეგისათვის მიღებულ იქმნას სარევიზიო კომისიის შენიშვნა.

დანარჩენი შენიშვნები სარევიზო კომისიისა შეეხებოდნენ მეტად უმნიშვნელო საგნებს და ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია მათი აქ მოყვანა, თუმცა კრებამ თითქმის სამი საათი მოანდომა მათ განხილვასა და, ბოლოს, უარყოფას

დასასრულ კამათისა კრებამ დაამტკიცა წარმოდგენილი ანგარიში და საღამომდე შესწყვიტა სხდომა.

საღამოს კრებას თავდაპირველად წარედგინა საბჭოს მოხსენება სამეურეო ნაწარმოებთა გირაოთი სესხის გაცემის ოპერაციის გაძლიერების შესახებ. ამ საქმისთვის შარშანდელმა კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა—შეემუშავებინა პროექტი და წარმოედგინა კანონიერის გზით საზოგადო კრებისთვის. მაგრამ კომისიის საქმე თავიდან აწეწილ დაწეწილა. კომისიის ზოგიერთ წევრის აზრით, პროექტი გამგეობასა და საბჭოს უნდა შეემუშავებინათ კომისიის დახმარებით; საბჭოს-კი განუცხადებია: გამგეობა და საბჭო მოგაწვდით ყოველგვარ ცნობას, ხოლო მოხსენება კომისიამ უნდა შეადგინოსო. ამ დავაში გასულა დრო და კომისიას არავითარი მოხსენება არ წარუდგენია საბჭოსათვის; მხოლოდ კომისიის ერთ წევრს, ბ. ქუთათელაძეს, რომელიც იმ აზრისა ყოფილა, რომ მოხსენება თვით კომისიას უნდა შეედგინა, მოუმზადებია პროექტი. რადგან ეს პროექტი მარტო ბ. ქუთათელაძის იყო და არა მთელის კომისიისა და რადგან იგი, კანონის მოთხოვნილების თანახმად, საბჭოსთვის არ წარუდგენია ავტორს, ამიტომ კრებამ იგი არ მოისმინა.

ამ გარემოებამ დაუსრულებელი კამათი გამოიწვია. კომისიის წევრები ბ.ბ. მიქაბერიძე და სულხანიშვილი ამბობდნენ, რომ კომისიას არ შეეძლო მუშაობა, რადგან გამგეობა და საბჭო ხელს არ უწყობდნენ. ბ. მიქაბერიძე იმასაც ამბობდა, რომ არავის, გარდა გამგეობისა და საბჭოსი, არ შეუძლია შეადგინოს ხსენებული პროექტი; რომ შარშანდელმა კრებამ სწორედ ასე გადაწყვიტაო, ე. ი. მოხსენება საბჭოსა და კომისიას უნდა შეედგინათ ერთადაო და სხვა. მთელის საქმის განხილვამ აღმოაჩინა, რომ წინანდელმა კრებამ მოხსენების შემუშავება დაავალა კომისიას, ხოლო გამგეობა და საბჭო მოვალენი იყვნენ მხოლოდ—მათთვის ყოველგვარი ცნობა მიეწვდინათ.

ამ უშინაარსო კინკლაობას კრებამ მოანდომა დიდი დრო და ბოლოს დაადგინა—არჩეულ იქმნას ახალი კომისია ამ საქმის დამთავრებისათვის; მაგრამ, რადგან კომისიაში მონაწილეობის მიღება არავინ ისურვა, კრებამ დაავალა ბ. ქუთათელაძეს თავისი პროექტი წარუდგინოს საბჭოს განსახილველად და შემდეგ კრებისათვის წარსადგენად; ამასთანავე კრებამ გადასწყვიტა, რომ ვინც მოისურვებს, შეუძლია თვისი მოსაზრებანი ამ საქმის შესახებ ბ. ქუთათელაძეს მიაწოდოს მის პროექტის დამატება—შესწორებისათვის.

შემდეგ კრებას წარედგინა საბჭოს მოხსენება წესდების მე 90 §-ის შეცვლის შესახებ. შარშანდელმა კრებამ, თანახმად ბ. შაჰბუდაღოვის წინადადებისა, გადასწყვიტა, რომ წმინდა მოგების ის ნაწილი, რომელიც წევრებს ურიგდება დივიდენდად, დარჩეს ბანკშივე, როგორც ძირითადი თანხა ყოველის წევრისა ცალკე, ესე იგი, ყოველ წევრს თავის დივიდენდს შეუნახავენ ბანკში და როდესაც გამოვა ბანკიდან, დაუბრუნებენ; ეს თანხა იქნება სათადარიგო და ბანკი მოიხმარს, თუ ვინიცობაა მას ზარალი მოუვიდა და არსებულმა სათადარიგო თანხამ ეს ზარალი ვერ დაჰფარა. გამგეობამ და საბჭომ განიხილეს ბ. შაჰბუდაღოვის წინადადება და ბანკის საზარალოდ იცნეს იგი შემდეგის მოსაზრების ძალით: დადგება დრო, როდესაც თითოეულს წევრს ყოველ წლიურ დივიდენდიდან შეუგროვდება თანხა, რომელიც იმდენივე გახდება, რამდენი კრედიტიც აქვს; მაშინ ახალს წევრს, რომელმაც იმდენივე უნდა შეიტანოს სათადარიგო თანხაში, აღარ შეეძლება ბანკის წევრად გახდეს და ძველებიც გავლენ ბანკიდან. ამიტომ გამგეობამა და საბჭომ უარჰყვეს ბ. შაჰბუდაღოვის პროექტი და თავის მხრით წარუდგინეს კრებას პროექტი სარეზერვო თანხის შედგენის შესახებ. ამ პროექტით, ყოველ წლიური დივიდენდი უნდა დარჩენილიყო ბანკში, როგორც თითოეულს წევრის საკუთრება; ამ თანხას ორნაირი დანიშნულება ექნებოდა: 1) დაჰფაროს ბანკის ზარალი, თუ ამისათვის სათადარიგო თანხა არ იქმნა საკმარისი და 2) მიემატოს ძირითად თანხას ბანკის საშუალებათა გასაძლიერებლად. ამასთანავე საზოგადო კრების საქმე იქნებოდა—როდესაც საჭიროდ დაინახავდა, შეეწყვიტა დივიდენდის გადადება სარეზერვო თანხაში.

ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. საზოგადო კრების უმეტესობა წინააღმდეგი გახდა პროექტისა შემდეგ მოსაზრებათა ძალით: 1) ბანკს უკვე აქვს ძირითადი თანხა და საჭირო აღარ არის ახალის საუზრუნველყოფო თანხის დაარსება; 2) შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს თანხა სათადარიგოც იყოს,—ზარალის გასასტუმრებლად, და ძირითადიც,—სამოქმედო საშუალებათა გასაძლიერებლად; 3) რადგან ყოველმა ახალმა წევრმაც უნდა წარადგინოს შესაფერისი წვლილი სარეზერვო თანხაში, ამიტომ ბანკში შემოსვლა გაუჭირდებათ წვრილ მესაკუთრე-ხელოსან ვაჭართ. ამ მოსაზრებათა ძალით, საზოგადო კრებამ უარჰყო როგორც გამგეობისა და საბჭოს მოხსენება სარეზერვო ფონდის დაარსების შესახებ, ისე თვისმიერ შარშან მოწონებული წინადადება ბ. შაჰბუდაღოვისა.

შემდეგ კრებას წარედგინა წმინდა მოგების განაწილების პროექტი. სულ ბანკს საანგარიშო წელს ჰქონია 8719 მან. 77 კ. მოგება; აქედან, წესდების ძალით, სათადარიგო თანხაში უნდა ჩაირიცხოს 871 მ. 98 კ.; სხვა სავალდებულო გადასახადთა გარდა დანარჩენი 6730 მან. 51 კ. უნდა დაურიგდეს წევრებს დივიდენდად (100 მანეთზე 8 მ. 15 კ.); აქედან საბჭომ მოითხოვა 2600 მ. ჯილდოთ მიეცეს გამგეობის წევრებსა და ბანკის მოხელეთ: ხოლო დარჩენი დაურიგდეს წევრებს დივიდენდად. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა საბჭოს ეს მოხსენება.

აგრეთვე შეუცვლელად დაამტკიცა კრებამ ბანკის 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 19 ათას მანეთს აღემატება; შარშანდელთან შედარებით 2-ათას მანეთზე მეტი. ხარჯთ-აღრიცხვით ჯამაგირი ემატებათ გამგეობის წევრებს (1800 მან. მაგიერ, თითოეულს დაენიშნა 2400 მან.) და ბანკის მოხელეთაც.

დასასრულ მოხდა არჩევნები. ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ისევ გ. ს. განძელი; საბჭოს წევრად ისევ თავ. ნ. ბ. ერისთავი; სარევიზიო კომისიის წევრებად—ბ. ბ. თაყაიშვილი ჟურული და ბარათაშვილი.

კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

## ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრება

კვირას, 24 მარტს, დილის 11½ საათზე შესდგა კრება ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა. კრებას დაესწრო 260-მდე წევრი. კრების გახსნისათანავე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ითანესიანმა წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც მოიყვანა საზოგადოების ოც-და-ათი წლის მოქმედების დამახასიათებელი ციფრები. მოხსენებაში გამგეობა აღნიშნავს, რომ რუსეთში არსებულ 148 საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათაგან ტფილისისას უჭირავს ერთი პირველ ადგილთაგანი. საზოგადოებას დაუწყია მოქმედება 68,400 მან., რომელიც სამი წლის შემდეგ 549,587 მან. გამხდარა. მოძრავი თანხა რაცაა გამხდარა 613,397 მ. შეუცვლელად დარჩენილა 1882 წლამდე. მხოლოდ ამ წლიდან, რადგან 20% ფულის შეტანა გარდაწყდა ამ თანხის გასადიდებლად, თანხამ თანდა-თან იმატა ასე, რომ საზოგადოებას ამ ჟამად სამოძრავო თანხა აქვს, 1,366,760 მან., ხოლო სათადარიგო თანხა 374,832 მ.ნ. 83 კ. მთელი ჯამი 30 წლის განმავლობაში საზოგადოების დატრიალებულ ფულისა უდრის 5,180,807,468 მან. 2 კ; აღნიშნულ დროს განმავლობაში საზოგადოების კასაში შესანახად მიუღიათ 349,738,400 მან. 20 კ., ხოლო ამავე დროს გაუციათ 345,821,611 მან. 2 კაპ.

კრებამ ერთხმად დაამტკიცა საზოგადოების 1901 წლის ანგარიში, რომლის შემდეგაც გამგეობის თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას განსახილველად მიმდინარე 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობის ანგარიშით, საზოგადოებას წელს სახარჯოდ დასჭირდება 51,300 მ.

გამგეობისა და საბჭოს შეერთებულ სხდომას გარდაუწყვეტია შემახიაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთ 1000 მან. შემწეობა აღმოეჩინოსთ, რისთვისაც ითხოვეს წელს სახარჯოდ სულ 52,300 მან. კრებამ საჭიროდ დაინახა შემახიაში დაზარალებულთ 2000 მან. შეეწიონ; ამის გამო ხმის უმეტესობით დამტკიცებულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც წელს საზოგადოებას სხვა-და-სხვა საჭიროებაზე შემოსულ 53,300 მან. საზოგადოების გარდაწყვეტილებით ყოველ-წლობით უნდა გადაიდვას რამდენიმე პროცენტი იმ თანხის შესადგენად, რომლითაც შემდეგ უნდა შეიძინონ საკუთარი სახლი საზოგადოების გამგეობის მოსათავსებლად. ამ ჟამად ამ თანხისა საზოგადოებას აქვს 11,616 მან. გამგეობის აზრით, ამ თანხას ისეთი დანიშნულება უნდა მიეცეს. ვიდრე იგი მიაღწევდეს განსაზღვრულ რიცხვამდე, როგორც სათადარიგო თანხას აქვს. ე. ი. თითოეული წევრი ამ თანხისათვის გადასდებს საჭირო ფულს, ხოლო თუ რაიმე მიზეზისა გამო მან თავი დაანება საზოგადოებას, ამ თანხიდან მისი კუთვნილი ფულიც უკანვე უნდა გამოიტანოს ისე, როგორც სათადარიგო თანხიდან. ცოტა ხანს მოლაპარაკების შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა დაევალოს გამგეობას შემდეგ საზოგადო კრებას წარუდგინოს პროექტი, თუ როგორ სწარმოებდეს საზოგადოების სახლის ასაშენებლად დაარსებული თანხა. შემდეგ შეუდგნენ არჩევნებს, რომლის შედეგი უკვე გვქონდა აღნიშნული.

## მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოების კრება

გუშინწინ, 25 მარტს, ტფ. სამოსამართლო პალატის დარბაზში შესდგა წლიური კრება კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოების წევრთა, რომელსაც მხოლოდ 22 კაცი დაესწრო. კრება პირველად შეუდგა გამგეობის მოხსენების განხილვას საზოგადოების წესდების მეორე მუხლის შეცვლის შესახებ. საქმე ის არის, რომ ამ ჟამად საზოგადოების მცირე წლოვანთა გამასწორებელ ახალშენში ღებულობენ დამნაშავეთ არა ნაკლებ 16 წლისა და ახალშენში 18 წლამდე უნდა იყოს ყმაწვილი. გამგეობის აზრით, ახალშენის მოქმედებას ძალიან ნაკლები სარგებლობა მოაქვს მცირე-წლოვან დამნაშავისათვის, რადგანაც უკანასკნელი ახალშენში 2 წლიწადს რჩება და მიიღება იქ სწორედ მაშინ, როცა უკვე თითქმის სრულწლოვანდება; ამის გამო აღმზრდელთ მასზე შედარებით ნაკლები გავლენა აქვთ. ამიტომაო, აცხადებს გამგეობა, უნდა აღვძრათ შუამდგომლობა წესდების მეორე მუხლის შესახებ, რათა ახალშენში 14 წლიდან შეგვეძლოს მიღება მცირე წლოვან დამნაშავისათ.

ამ საკითხის გამო კამათმა კარგა ხანს გასტანა, რომლის შემდეგაც კრებამ, ხმის უმეტესობით, გარდასწყვიტა აღძრან ხსენებული შუამდგომლობა. შემდეგ საზოგადოებას წარედგინა გამგეობის 1901 წლის მოქმედების ანგარიში. გამგეობას წლის განმავლობაში ჰქონია 16 სხდომა და განუხილავს 162 საკითხი. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია: სულ 31827 მან. 28 კ.; დახარჯულა წლის განმავლობაში ახალშენის შესანახად სულ 28,923 მან. 1902 წლის 1-ლ იანვრისათვის დარჩენია საზოგადოებას 2675 მან. 68 კაპ. ახალშენში წლის განმავლობაში ყოფილა 69 მოსწავლე. აქედან 16 კაცი ახალშენიდან სხვა-და-სხვა მიზეზების გამო გასულა, 2 პოლიციისათვის გარდაუციათ და ერთი მომკვდარა, მიუღიათ 11 კაცი, ასე რომ ახალშენში ამ ჟამად 47 მოსწავლეა. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ საზოგადოების მდივანმა წაიკითხა საზოგადოების ამა 1902 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. სხვა-და-სხვა წყაროებიდან მოსალოდნელია შემოსავალი სულ 26925 მან., ხოლო ახალშენის შესანახად და სხვა საქმეებისათვის საზოგადოებას დასჭირდება 26,686 მან. ხარჯთ-აღრიცხვა მცირეოდენის ცვლილებით იქმნა დამტკიცებული. საზოგადოების წევრი ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი ბ-ნი ბიკოვი, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, ამორჩეულ იქმნა საზოგადოების წევრად. დასასრულ შეუდგნენ საზოგადოების მოხელე პირების არჩევანს.

ხმის უმეტესობით გამგეობის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ს. ბ. ვრასკი; გამგეობის წევრებად კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულტან-კრიმ-გირეი, ა. ი. მიტკევიჩი და ა. ა. მაქსიმოვიჩი; გამგეობის გარდაცვალებულ წევრის ვ. გ. ბუტირკინის ნაცვლად მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგება გამგეობის წევრის კანდიდატი ნაფიცი ვექილი ფრენკელი.

## ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრება

კვირას, 24 მარტს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება მოხდა, ქალაქის თავის ნ. ი. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით.

გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ანდრია ერისთავმა მოკლედ გააცნო კრებას 1901 წლის საზოგადოების მოქმედება; ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ბანკს მთელის წლის განმავლობაში 14,814,596 მან. და 66 კაპ. დაუტრიალებია, ესე იგი წინა წლებთან შედარებით 1,702,792 მან. და 56 კაპ. მეტი; ამავე დროს კასის მოქმედება 5,421,558—60 კაპ. უდრის და, შედარებით წინა წლებთან, გაზრდილა 469,655 მან. და 49 კაპეიკით. საზოგადოებას მთელი წლის განმავლობაში წმინდა მოგება დარჩენია 6452 მ. 40 კ. ყველაზედ მეტი ხეირი ბანკისათვის მიუცია შავი ქვის გირაოთ გაცემულ ფულს და მომავალში, საეჭვო არ არის, თუ შავ-ქვას კარგი ბაზარი გაეხსნა, საზოგადოების მოქმედებაც მეტად გაძლიერდება.

შემდეგ, როდესაც წარსულის წლის ანგარიში დაამტკიცეს, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვასა და მოგების განაწილებას შეუდგნენ. მოგებიდან საზოგადოებამ 450 მანეთი ბანკის მოხელეთა საჩუქრად გადასდვა, რომელიც გამგეობის მიხედვით უნდა იქმნას განაწილებული მსახურთა შორის. კრებამ ამ დღეს, როგორც ბანკის მოხელენი არც დატოვა უყურადღებოდ და უსაჩუქროდ, ისე არც ფოთის სხვა-და-სხვა დაწესებულება დასტოვა და ას-ასი მანეთი სათითაოდ სამრევლო სკოლებისა და სამკითხველოს სასარგებლოდ გადასდვა. გარდა ამისა ასი მანეთი საზოგადოებამ შესწირა ახალ-სენაკში ეკკლესიის ასაშენებლად.

ბოლოს არჩევნებს შეუდგნენ. არჩევნების დროს, თუმცა გამგეობის თავმჯდომარე თავ. ანდრია მ. ერისთავი ერთხმად იქმნა არჩეული და მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ბევრი ეხვეწეს გამგეობის თავმჯდომარედ დარჩენილიყო, მაინც უარი განაცხადა და საზოგადოებას მოახსენა: „რადგან მე სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო არ შემიძლიან თქვენ სამსახური გაგიწიოთ, ამისთვის თავმჯდომარე მოძებნეთო“. პატივცემულ თავ. ან. მ. ერისთავის უარის თქმამ ბევრი დაალონა. საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ერთგულის სამსახურისთვის და სთხოვა დროებით მაინც დარჩენილიყო, სანამ ბანკისათვის ახალ თავმჯდომარეს გამონახვიდენ. დასასრულ კრებამ ერთხმად აირჩია: დირექტორად ბ-ნი ა. დ. გუგუშვილი, სარევიზიო კომისიის წევრებად: ბ.ბ. ბ. მოსეშვილი, ა. ხოშტარია და ილიოშენკო, აგრეთვე საბჭოს წევრებად ბ.ბ. ე. მეიერი, ი. ფანცხავა, გ. საბახტარიშვილი და ნ. ავერინი.

ი. იანეთელი

## უცხოეთის წვრილი ამბები

ზოგჯერ გაზეთები, განსაკუთრებით ინგლისური, სულ უბრალო ამბავს ისე დაამახინჯებენ, ისე უცნაურად ვადააკეთებენ, რომ ერთ ალაქოთსა და ვაივაგლახს ასტეხავენ ხალხში.

ამას წინად უცხოელ გაზეთებში მოყვანილი იყო ერთი ამბავი, რომელიც საბერძნეთის მეფეს შეემთხვა. მეფე დასეირნობდა ზოოლოგიურ ბაღში თავის სატახტო ქალაქ ათინაში. აქ თავისუფლად იყო გაშვებული სირაქლემა, რომელმაც რადაინახა მოსეირნე მეფე და გამოუდგა იმას, რომ ნისკარტი ჩაჰკრას. აქვე ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ ამ უზარმაზარ ფრინველს ისეთი მაგარი და მძლავრი ნისკარტი აქვს, რომ ერთის ჩაკვრით ხარს წააქცევს. გარბის მეფე და უკან სირაქლემა მისდევს. საბედნიეროდ, ამ ამბავს თვალი შეასწრო ბაღის დირექტორმა გერმანოსმა და გაექანა თავის მეფის დასახსნელად; გზაში გადაეღობა სირაქლემას და მეფე იმის მძლავრ ნისკარტს გადაარჩინა.

მეორე დღეს ინგლისის გაზეთში ასეთი დეპეშა იყო დაბეჭდილი, რომელსაც ათინელი კორესპონდენტი სწერდა:

„ერთმა გერმანელმა, სახელად სპრონთოხამილოს, განიზრახა დღეს ზოოლოგიურს ბაღში მეფის მოკვლა“.

ახლა ეს უცნაური ამბავი საიდან გამოიგონა კორესპონდენტმა? იქიდან, რომ სირაქლემას ბერძნულად ჰქვიან სპრონთოხამილოს და გერმანოს (დირექტორის გვარია) ნიშნავს გერმანელს. აი ამ გვარად კორესპონდენტმა ფრინველის საქციელი მომაკვდინებელ ამბად აუწყა ხალხს.

* *

ამერიკის შეერთებულს შტატებში ამ ჟამად სცხოვრობს ერთი ორმოცდა ათი წლის მემამულე ქალი, რომლის შეძლებასაც ასე ასწერენ საზღვარ გარეთელი გაზეთები.

ქ-ნ რიჩარდ—კიტის, რომელსაც ოთხფეხა პირუტყვის და საზოგადოდ საქონლის დედოფალს უწოდებენ, მამული შეიცავს თოთხმეტი ათას დღიურს საძოვარი ბალახს და სათიბს. რამდენადაც ძნელია ნამდვილად აღნიშნოს კაცმა ამ ქალის მამული, იმდენად ძნელია საქონლის ნამდვილი რიცხვიც აღინიშნოს, რაც ამ საძოვარ მინდვრებზეა მოფენილი. ათი წლის წინად გამოუანგარიშიათ დაახლოვებით, რომ ამ ქალის მინდვრებში ბალახზე გაშვებული იყო: 250,000 ძროხა, ხარი და ხბო, 50,000 თხა, 90,000 ცხვარი და 2,500 საჯდომი ცხენი. ამ მამულების მთავარ-მმართველი ამტკიცებს, რომ ამ ჟამად ყველა მამულებში უნდა იყოს სხვილ ფეხა საქონელი 800,000 სული, ცხვარი 160,000 და ცხენები 10,000 სული.

ამ მამულებიდან ყოველ წლივ გაჰყავთ 300,000 სული საქონელი—40-დან 50-მილიონამდე ღირებული.

ასე რომ ჩვენ გაკეთებულ აზნაურის შეძლებაზე ცოტა მეტი გამოდის!

რუსეთის ერთს მივარდნილ მაზრაში ამ ჟამად სცხოვრობენ დედა და შვილი—ქალი; დედა 50 წლისაა, ხოლო ქალი 15—16 წლ. ხელის და ფეხის თითებზე ორივეს ფრჩხილების მაგიერ კლანჭები ანუ ბრჭყალები აქვთ, როგორც დათვს. ამ ქალის დიდედა ტყეში ყოფილა მარწყვის დასაკრებად და უცბად დაუნახავს რამდენიმე ნაბიჯზე უშველებელი დათვი. ქალს ისე შეშინებია, რომ გული შესწუხებია და წაქცეულა; როდესაც გონზე მოსულა, დათვი იქ აღარ დახვედრია; იმას მიუნებებია თავი და წასულა. ამ შემთხვევის შემდეგ ქალს შვილი ჰყოლია (ქალივე), რომელსაც ხელის და ფეხის თითებზე ბრჭყალები ჰქონია; ამ ქალსაც ქალი ჰყოლია და ისიც დათვის ბჭყალებიანი.

* *

მოკლე ხანში კანონიერის ქორწინებით შეუღლება მოხდება ორის „სიკვდილისაგან დავიწყებულის“ პირისა: სამეფო ვაჟი ბძანდება... 108 წლისა, ხოლო საპატარძლო—98 წლისა. ახლა იკითხავთ, თუ სადა ქორწინდებიან ეს მცირე-წლოვანი ბალღები? სხვაგან სადღა, თუ არ ამ უცნაურ ქვეყანა—ამერიკაში! კაცი ხელობით მეფერმეა, კარგა შეძლებული. თავის სიცოცხლეში ექიმისთვის არ მიუმართავს დასახმარებლად. ოთხმოცდა ათ წლამდე სვამდა ვისკას (ინგლისური ძალიან მაგარი სასმელია), თამბაქოს სწევდა და ღეჭავდა კიდეც, ჯანის სისაღე და აგებულობა რკინისა აქვს და ისეთი მეხსიერებისაა, რომ ყველანი განცვიფრებაში მოჰყავს. როდესაც ამ მხარეში ადგილ-მამულების საზღვრები უნდა აღადგინონ, მთავრობა იმას მიმართავს ხოლმე, რადგანაც იმან ყველაფერი ზეპირად იცის.

# დეპეშა

(„რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან“)

### 24 მარტი

**პეტერბურგი**. 23 მარტს პეტერბურგიდან წავიდა კაცთ-მოყვარეობის საოლქის სამზრუნველოს საპატიო წევრი, ტ. სოვ. ო. ო. ბუქსჰევდენი, რათა წაიკითხოს მოსკოვსა, ნ.-ნოვგოროდსა და სხვა ქალაქებში მოხსენებანი გამასწორებელ დაწესებულებათა დაარსების საჭიროების შესახებ იმ ბავშთათვის, რომელთაც ჯერ ბოროტ-მოქმედება არ ჩაუდენიათ, მაგრამ ზნე-გაფუჭებულნი არიან.

23 მარტს წავიდა პეტერბურგიდან კატორგაში გაგზავნილ დანაშავეთა ოჯახების სამზრუნველო საზოგადოების მდივანი რ. ო. ბუქსჰევდენი, რომელიც გაიგზავნა ვლადივასტოკს, ნიკოლაევსკს, სახალინზე და პორტ-არტურს, რათა შეისწავლოს იმ ქალებისა და ბავშვების მდგომარეობა, რომელნიც თავის ნებით გაჰყვნენ კატორგაში გაგზავნილთ.

**რადომი**. რადომის საქალაქო მმართველობას მიეცა ხაზინიდან სესხად 60 ათასი მან. რადომის სახელოსნო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად.

**ლიბავა**. იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახსოვრად ასაშენებელ ტაძრის ფონდისათვის შემოვიდა 123,573 მანათი.

**ტაგანროგი**. აზოვ-დონის ბანკის აქციონერთა კრებამ დაამტკიცა 1901 წლის ანგარიში; წმინდა მოგება 1,369.609 მანათია; დივიდენდი 40 მანათია.

**ეკატერინოსლავი**. გაიხსნა ყირიმის სამთო კლუბის განყოფილება:

**მოსკოვი**. დღეს დაიწყო კონკურსი ფოტოგრაფიის მუშათა, გამართული რუსეთის საფოტოგრაფო საზოგადოებისაგან.

დღეს მოხდება წლიური კრება ქალთა საექიმო ინსტიტუტის საშუალებათა გამაძლიერებელ საზოგადოების მოსკოველ განყოფილებისა. წლის განმავლობაში განყოფილებას შემოუვიდა 13.607 მანეთი.

**ორიოლი**. ოთხი დღე ირჩეოდა საქმე აზნაურის პოხვისნევისა, რომელმაც მოჰკლა თავისი სიძე გლობა-მიხაილენკო. ნაფიცმა მსაჯულებმა დაადგინეს, რომ პოხვისნევმა მკვლელობა ჩაიდინა სიგიჟეში და გაამართლეს იგი.

### 25 მარტი.

**პეტერბურგი**. 24 მარტს, საღამოს 8 საათზე სტრელნაში მოკვდა გლებ უსპენსკი.

**პარიზი**. ლუბე, რომელმაც აღდგომის დღესასწაულები მონტელიმარში გაატარა, აქ მოვიდა როდესაც ის ვოკზალიდან გამოვიდა და კარეტაში ჯდებოდა, ერთი კაცი მივიდა და უთხრა: „ვთხოულობ სიმართლეს“. ის მაშინათვე შეიპყრეს; უბეში გატენილი რევოლვერი ჰქონდა. ეს აღმოჩნდა ბუხჰალტერი სურნი, რომელიც იმ სენით არის შეპყრობილი, რომ ჰგონია, ყველა იმას სდევნის. როგორც იმანა სთქვა, რევოლვერი იმიტომ მოვიპოვე, რომ თავი მომეკლაო.

**კონსტანტინეპოლი**. მიტროვიცში და ახალ ბაზარში შიშიანობაა. ტელეგრაფი დაჭერილია მეამბოხეთაგან. გენერალი შუნსიფაშა გაემგზავრა წესიერების აღსადგენად. პორტამ გაგზავნა ცირკულიარი საქმის გარემოებაზე მაკედონიაში.

**გლაზგო**. სიმაგრის განგრევის გამო ბურთის თამაშობის დროს დაშავდა 125 კაცი.

**ვარშავა**. რადგანაც გერმანიის საზღვრამდის რკინის გზის შტოს შენება შეაჩერეს, ამიტომ გერმანიის რკინის გზის მთავრობას განზრახვა აქვს გზათა სამინისტროს წარუდგინოს ახალი, უფრო მარტივი, პროექტი.

**ნიკოლაევი**. იოსებ კროლის საქმის გამო, რომელსაც ბრალდებოდა, რომ გერმანელი ფირმებისაგან ნასყიდი ხორბალი სრულიად არ დაეტვირთა, კროლს გადაუწყვიტეს ტუსაღთა განყოფილებაში დაპატიმრება წლითა და სამის თვით.

### 26 მარტი

**პეტერბურგი**. 26 მარტს ცხენოსან პოლკის დღესასწაულის გამო მანეჟში გაიმართა ბრწყინვალე პარადი. დაესწრენ მათი უდიდებულესობანი, საიმპერატორო გვარის პირები, მარშანი და სოვაჟი.

25 მარტს საკონცერტო ზალაში გაიმართა უმაღლესი საუზმე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ მარშანი და სოვაჟი.

**ოდესა**. აკურთხეს პირველი ქარხანა სიმინდის ბადაგისა.

**ლონდონი**. კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან, რომ კრიუცინგერი გაამართლეს; მას როგორც ჩვეულებრივ ტყვეს ექცევიან.

**მარსელი**. ჩამოვიდა ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორი დუმერი, რომელსაც განზრახვა აქვს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა დეპუტატობაზე. დუმერმა უთხრა კორესპონდენტს: „საფრანგეთი გაბედულ პოლიტიკას უნდა დაადგეს აღმოსავლეთში. ეხლანდელი დიდი გავლენა საფრანგეთისა სიამში შემცირდება, თუ გაფრთხილებიდან ნამდვილ ღონისძიებაზე არ გადავა.

**ვარშავა**. ადგილობრივმა სამხედრო მთავრობამ წარადგინა თავისი მოსაზრება შესახებ მესამე ხიდის გაკეთებისა ვისლაზე.

**ეკატერინოსლავი**. ქალთა განათლების საზოგადოების თავმჯდომარემ ქ.-ბ. მესარმა შესწირა საზოგადოებას 35 ათასი მანეთი.

**სარატოვი**. იხსნება ლიტერატორებისა და მეცნიერების საურთიერთო დახმარების კასის განყოფილება.

**კოპენჰაგენი**. ჩამოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე პრინც ქრისტიანეს სანახავად.

**კრონშტადტი**. თუმცა შალკ-ბურგერს დამოკიდებულება აქვს შტეინთან, რომელიც დელარეისთან იმყოფება, მაგრამ დიდის მანძილის გამო მოლაპარაკება ჯერ შორს არ წასულა. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ტრანსვაალის დელეგატები კრონშტადტიდან სხვა ადგილას გადავიდნენ მოლაპარაკების გასაადვილებლად.

**პარიზი**. რუსეთის სესხის დიდმა გამარჯვებამ ბერლინის ბირჟაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელ საფრანგეთზე და გამოიწვია პრესაში დიდი ლაპარაკი.

**ვენა**. სამინისტროს განკარგულებით ტრიესტში შემოღებული საგანგებო კანონები გაუქმებულია.

**ლონდონი**. „დეილი მაილი“ იტყობინება, რომ შალკ-ბურგერის მიერ წარმოდგენილი პირობები ზავისა მისაღებია ინგლისის მხრივ.—„ლაფანის სააგენტოს“ ატყობინებენ პრეტორიიდან, რომ მთავრობის გაზეთის სიტყვით კასპარ კრიუგერს, პრეზიდენტის უფროსს შვილს უნდა დაეფიცოს ინგლისის ერთგულებაზე.—პალატა ისევ შეიკრიბა. ბალფურმა გამოაცხადა, რომ არასფრის თქმა არ შეუძლია გამართულ მოლაპარაკებაზე.—კიტჩენერი იტყობინება, რომ ფრენჩის ჯარებს ბრძოლა არ ჰქონიათ. კაპის ახალშენის დასავლეთ ნაწილში მყოფი ბურები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ; 18 მარტიდან აქ მყოფ ბურის ჯარებს ბრძოლა არ ჰქონიათ. ბურების უფროსი ერაზმი ბოშჰოფთან მოჰკლეს.

**ბერლინი**. „ვესტფალის გაზეთში“ დაბეჭდილია წერილი ერთის გერმანელისა, რომელიც ბურებ შორის ყოფილა. ავტორი გაბედულად ამტკიცებს, რომ ომი უთუოდ ბურების გამარჯვებით უნდა გათავდეს. ბურების ჯარი ოცი ათასზე ნაკლები არ არის; მარტო დევეტის ჯარია 5000. ინგლისელების ხელშია მარტო რკინის გზები, ბურები კი მთელ მხარეს ბატონობენ. კომანდირი ფრონემანი, რომელიც ევროპაში წამოვიდა, მოიტანს დაწვრილებით ცნობებს ეხლანდელ მდგომარეობაზე.

**ფეშავერი**. ჰადა მოლა ქაბულში მოვიდა. ემირი ეთათბირებოდა მას ხუთი საათის განმავლობაში. ემირმა მისცა მოლას კანონთა ახალი კრებული.

**პეტერბურგი**. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია მთავრობის ნებართვა, რომლის ძალით რუსეთის ბანკი სპარსეთში მიიღებს ახალ ხუთ-პროცენტიან სესხის 10 მილიონის ქაღალდებს სადამოჟნო შემოსავლის გირაოთი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა 23 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 94,65 | |
| ბერლინზე 100 მარკაში | — | |
| პარიზზე 100 ფრანკში | — | |
| ლონდონზე ჩეკები | 94,75 | |
| ბერლინზე „ | 46,30 | |
| პარიზზე „ | 37,65 | |
| ბირჟის დისკონტი | $4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96^{5}/_{8}$ | გაყიდ. |
| $4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $98^{3}/_{4}$ | „ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა | | |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 464 | „ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 351 | „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 303 | „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — | |
| $4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | |
| ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | — | |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — | |
| ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — | |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

**ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ**: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

**ტფილისიდან ბაქოსაკენ**: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო-გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

**ტფილისიდან ყარსისაკენ**: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ტფილისიდან ბორჯომში**: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

**ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ქუთაისიდან შორაპნამდე**—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

**გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

**ქუთაისიდან ბათუმისაკენ**: 1) მატარ. გადის ღამის [illegible] ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

## განცხადებანი

ДЕНИСОВСКИЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

ისყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.

(ნ. 25—1).

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში ძირიდებენ ყოველ გვარ

სპერაპს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,

ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმალილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია ყოველდღე დილის 10 საათიდამ საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—7)

Дозволено цензурою Тифлисъ, 26 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ. შრ. წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.